გაზეთი "რეზონანსი, 2020 წლის 5 აგვისტო, №140 (9794)"

# საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი აცხადებს ღია კონკურსს უნივერსიტეტის ზოგიერთი დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევით ერთეულების სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (შემდგომში უნივერსიტეტი) აცხადებს ღია კონკურსს 5 წლის ვადით, უნივერსიტეტის ქვემოთ ჩამოთვლილი დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევით ერთეულების სამეცნიერო თანამდებობების (განყოფილების გამგე/მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, მეცნიერი თანამშრომელი (მეცნიერი თანამშრომელი/ლაბორატორიის გამგე)) დასაკავებლად:

1. ვლადიმერ ჭავჭანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტი;
მის: თბილისი 0186, ზ. ანჯაფარიძის ქ. 5, პირველი სართული, ოთახი 130, ტელ.: 598 42 98 33

2. ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი;
მის: თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 60ბ, მე-2 სართული, ოთახი 232, ტელ.: 032 2 22 40 94;

3. არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტი;
მის: თბილისი, მინდელის ქ. 10, ტელ.: 032 2 31 93 74;

4. ინსტიტუტი „ტალღა“
მის: თბილისი, კოსტავას 77, ოთახი 336, ტელ: 599 14 54 13.

## I. განცხადებების მიღების და კონკურსის ჩატარების ვადები

1. კონკურსში მონაწილეობის მსურველთათვის დამატებითი ინფორმაცია (მათ შორის საკონკურსო ადგილების რაოდენობა სამეცნიერო კვლევითი ერთეულების მიხედვით, დამატებითი საკონკურსო პირობები, კონკურსანტის ანკეტა-კონკურსანტის განცხადება და სხვა) გამოქვეყნდება უნივერსიტეტისა (WWW.GTU.GE) და შესაბამისი კვლევითი ერთეულის ვებგვერდზე. განცხადებების მიღება იწარმოებს 2020 წლის 10 სექტემბრიდან 14 სექტემბრის ჩათვლით, 1000-დან 1700 საათამდე ზემოთ მითითებულ მისამართებზე.
2. კონკურსი ჩატარდება 2020 წლის 17-18 სექტემბერს. კონკურსის პირველადი შედეგები გამოქვეყნდება არაუგვიანეს 2020 წლის 18 სექტემბერს, შესაბამისი საკონკურსო კომისიის მიერ თვალსაჩინო ადგილზე და შესაბამისი კვლევითი ერთეულის ვებგვერდზე.
3. კონკურსის ჩატარების წესის დარღვევასთან დაკავშირებით განცხადება-საჩივრები საკონკურსო კომისიაში მიიღება 2020 წლის 21 სექტემბრის ჩათვლით.

## II. საკონკურსო პირობები

1. კონკურსის ძირითადი პირობები:
ა) მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება;
ბ) უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
გ) მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.
შენიშვნა: დამატებითი საკონკურსო პირობები გამოქვეყნდება შესაბამისი კვლევითი ერთეულის ვებგვერდზე.
2. კონკურსში მონაწილეობის მსურველმა პირადად (ან წარმომადგენლის მეშვეობით) უნდა წარმოადგინოს:
ა) სათანადო ფორმით შევსებული და ხელმოწერილი განცხადება და ანკეტა (ფორმები იხ. შესაბამისი კვლევითი ერთეულის ვებგვერდზე), აგრეთვე მასში წარმოდგენილი ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია: დიპლომი, სერტიფიკატი, მოწმობა, სიგელი, ცნობა და ა.შ. (დედანი და ასლი);
ბ) სამეცნიერო/აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი და ასლი);
გ) სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილების (სტაჟის) დამადასტურებელი საბუთი (საბუთები) დამოწმებული შესაბამისი ორგანიზაციის/დაწესებულების მიერ;
დ) სამეცნიერო და სასწავლო-მეთოდური ნაშრომების ნუსხა, დამოწმებული შესაბამისი დაწესებულების/ორგანიზაციის ან მისი სტრუქტურული ერთეულის კომპეტენტური პირის ხელმოწერით და ბეჭდით;
ე) პირადობის მოწმობა (დედანი და ქსეროასლი);
ვ) 2 ფოტოსურათი, 3X4.

## III. კონკურსის ჩატარების წესი

1. კონკურსი ჩატარდება "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდებისა და შესაბამისი სამეცნიერო კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესის შესაბამისად, რომლებსაც კონკურსანტი გაეცნობა საკონკურსო კომისიებში და უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
2. საკონკურსო კომისიის მიერ გათვალისწინებული იქნება: კონკურსანტის კვალიფიკაციის და კომპეტენციის შესაბამისობა საკონკურსო თანამდებობასთან, მათ შორის საკონკურსო თანამდებობის პროფილის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი, პრაქტიკული და სხვა აქტივობები, მიღწევები, პუბლიკაციები, გამოცდილება და დამსახურება; ასევე (კომისიის გადაწყვეტილებით) კონკურსანტთან (კონკურსანტებთან) ჩატარებული ინტერვიუს შედეგები.
3. კონკურსის შედეგების გასაჩივრება შესაძლებელია სასამართლოში, თანახმად მოქმედი კანონმდებლობისა.